http://178.249.17.200/notary/CoverPage.do?variant=2&actId=3[illegible]

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

55751688311826

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261604590

რეგისტრაციის თარიღი

12.11.2026 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია

მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.

ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

11/12/2026, [illegible]

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცდაექვსი წლის თორმეტ ნოემბერს, მე, ნოტარიუსს ირმა გოგიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა №14 მომმართა **რაჟდენ ნადირაშვილმა**, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ, მე ნამდვილად **რაჟდენ ნადირაშვილმა** (დაბ: 11.04.1977 წელს, პ/წ # 01027012312, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი კალოუბნის ქ. N 20 ბ. 47) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლინის ნამდვილობა, განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ, ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდგომაც სანოტარო წესით დავადასტურე წინამდებარე მინდობილობა:

მინდობილობა

ორიათასოცდაექვსი წლის თორმეტ ნოემბერს, მე, **რაჟდენ ნადირაშვილმა** (დაბ: 11.04.1977 წელს, პ/წ # 01027012312, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი კალოუბნის ქ. N 20 ბ. 47), **გიორგი ბუბუტეიშვილს** (დაბ: 01.09.2003 წელს, პ/წ # 01019084922, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, გიორგი ავალიშვილის ქუჩა, N 42) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. გიორგი ბუბუტეიშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთობაში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ სამინისტროში, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საკრებულოში, მერიაში, მუნიციპალიტეტში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საქართველოს სავტომობილო გზების დეპარტამენტში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, საქალაქო სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, მერიის სსიპ-ებთან ურთიერთობაში, მათ შორის: სსიპ არქიტექტურის სამსახურთან, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან ურთიერთობაში, კომუნალური მომსახურების სააგენტოში/ინტერნეტის მომმარაგებელ კომპანიებში და ყველა სხვა კომპეტენტურ ორგანოში, რათა განახორციელოს ნებისმიერ უძრავ ქონებაზე (სადაც არ უნდა მდებარეობდეს) ფუნქციური ზონის ცვლილება, პროექტის შეთანხმების, პროექტის ცვლილების, პროექტის კორექტირების, ვადის გაგრძელების, გაუქმების (შეჩერების), მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, ფოტომონტაჟური პროექტის მიღებასთან, წითელი ხაზების კორექტირებასთან, სამშენებლოდ გამოყენებასთან, პირობების დადგენასთან, განაშენიანებასთან, რეგულირებასთან, გეგმის შეთანხმებასთან, ზონის ცვლილებასთან, მიწის ნაკვეთის პარამეტრების ცვლილებასთან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან, შეთანხმებული პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით ნებისმიერი საჭირო მოქმედება. მოახდინოს ფასადური იერსახის ცვლილება/შეცვლა, სტატუსის შეცვლა, შეთანხმებული პროექტის კორექტირება/ვადის გაგრძელება, ექსპლუატაციაში მიღება, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზნით შეათანხმოს სპეციალური ზონალური შეთანხმება (ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა), აზომვა, აზომვითი ნახაზის აღება შესაბამისი დაწესებულებებიდან (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით), მოახდინოს ღობის/შესასვლელი კარის მოწყობა (მშენებლობა), მოახდინოს ფართის დაზუსტება აზომვითი ნახაზის შესაბამისად, მოაგვაროს დაკანონების, ლეგალიზების, რეკონსტრუქციის, გაერთიანების, გამიჯვნის, დაყოფის და რეგისტრაციის საკითხები, შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, შეუცვალოს სტატუსი, მიანიჭოს ნომერი, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში აღმოფხვრას ისინი, მოახდინოს გაზომვითი(ების)/ელექტროფიცირების/წყალმომარაგების საპროექტო/სამონტაჟო სამუშაოები და ჩამაბაროს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია, მოახდინოს აბონენტის/მრიცხველის რეგიტრაცია/შეცვლა, შეიყვანოს კომუნიკაციები, მათ შორის: ინტერნეტი/ტელევიზია. მოახდინოს ფართში გამრიცხველიანება, შეიძინოს მრიცხველები და დამარეგისტრიროს აბონენტად. მოახდინოს პროექტის დამტკიცება/შესწორება/გადავადება, ასევე განახორციელოს სარეკლამო ბანერის განთავსებასთან დაკავშირებული საქმიანობა. ჩემი სახელით აწარმოოს საქმე განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შეთანხმებისთვის/ მომზადებისთვის საჭირო საქმეები. ჩემი სახელით შესაბამის ორგანოებში წარადგინოს განცხადებები, გადაგზავნოს საპროექტო დოკუმენტები, ატვირთოს დოკუმენტები ელექტრონულად ნებისმიერ პორტალზე. მიიღოს მონაწილეობა დავების განხილვაში. გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მიიღოს/ჩააბაროს დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის: განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზ/აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

2. მინდობილობა ძალაშია ორიათასოცდაექვსი წლის თორმეტი ნოემბრიდან ორიათასოცდაშვიდი წლის თორმეტი ნოემბრის ჩათვლით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

3.მინდობილობა გაცემულია ქონების განკარგვის უფლების გარეშე.

4. მინდობილობა გაცემულია **3 (სამი)** თანაბარძნიშველოვან ეგზემპლარად, რომელთაგან **1 (ერთი)** ინახება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო **2 (ორი)** გადაეცა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **18.00 ლარი**, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ფასების ტარიფების შესახებ" 31-ე მუხლისა, აგრეთვე **5 ლარი**, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა, **დღგ 3.24**, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. სულ გადახდილია **26.24 ლარი**.

მინდობილობის გამცემი [illegible]

ნოტარიუსი ირმა გოგია